სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____

დამტკიცებულია:

<u>წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით (ოქმი №6)</u>

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

ქ.თბილისი
2026წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. პოლიტიკის მიზანი

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნებს, პრინციპებს, ძირითად მიმართულებებსა და განხორციელების მექანიზმებს, აგრეთვე მართვის, კოორდინაციის, მონიტორინგისა და შეფასების საფუძვლებს.
2. პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით, მმართველობით და საზოგადოებრივ საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის სისტემური განვითარების ხელშეწყობა, განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების, საუნივერსიტეტო საზოგადოების საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებისა და უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციის მიზნით.

მუხლი 2. პოლიტიკის მოქმედების სფერო

1. პოლიტიკა ვრცელდება უნივერსიტეტის საერთაშორისო ან საერთაშორისო განზომილების მქონე საგანმანათლებლო, კვლევით, მმართველობით, ადმინისტრაციულ, პროფესიული განვითარების, მობილობისა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე.
2. პოლიტიკა, შესაბამისი უფლებამოსილებებისა და საქმიანობის სფეროების გათვალისწინებით, ვრცელდება:
   ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებსა და თანამდებობის პირებზე;
   ბ) ფაკულტეტებსა და სხვა სტრუქტურულ ერთეულებზე;
   გ) აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე;
   დ) სტუდენტებზე;
   ე) უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობაში ჩართულ სხვა პირებზე.
3. პოლიტიკა ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის მიერ დამოუკიდებლად, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით განხორციელებულ საქმიანობაზე.

მუხლი 3. ინტერნაციონალიზაციის არსი

1. ინტერნაციონალიზაცია არის უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების, კვლევის, მართვისა და საზოგადოებრივი საქმიანობის მიზნებში, შინაარსსა და განხორციელების პროცესებში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირების სისტემური პროცესი.
2. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება როგორც საერთაშორისო მობილობისა და უცხოურ და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის, ისე

უნივერსიტეტის შიდა საგანმანათლებლო, კვლევით და სოციალურ გარემოში საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპონენტების ინტეგრირების გზით.

3. ინტერნაციონალიზაცია არ შემოიფარგლება საერთაშორისო პარტნიორების, შეთანხმებების, პროექტებისა და მობილობის მონაწილეთა რაოდენობრივი ზრდით. იგი ორიენტირებულია საერთაშორისო საქმიანობის ხარისხზე, შედეგიანობასა და მდგრადობაზე და მიღებული შედეგების უნივერსიტეტის განვითარებისთვის გამოყენებაზე.

მუხლი 4. ინტერნაციონალიზაციის მიზნები

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზნებია:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამებსა და სწავლა-სწავლების პროცესში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირება;
   ბ) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება;
   გ) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების გაფართოება და მობილობის შედეგების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ეფექტიანი გამოყენება;
   დ) უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის, მიღების, მხარდაჭერისა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციის მექანიზმების განვითარება;
   ე) საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის, ერთობლივი კვლევებისა და პროექტების განხორციელებისა და კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელების ხელშეწყობა;
   ვ) ხარისხიანი, შედეგზე ორიენტირებული და მდგრადი საერთაშორისო პარტნიორობების განვითარება;
   ზ) უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო, კვლევით და პროფესიულ ქსელებში ჩართულობის გაძლიერება;
   თ) უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება და აკადემიური რეპუტაციის განმტკიცება;
   ი) ქართული ენის, ისტორიის, კულტურისა და აკადემიური მიღწევების საერთაშორისო სივრცეში წარმოჩენის ხელშეწყობა;
   კ) ინტერნაციონალიზაციის მართვისა და შესაბამისი ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება.
2. ინტერნაციონალიზაციის მიზნები ხორციელდება ურთიერთდაკავშირებულად, უნივერსიტეტის აკადემიური პროფილის, სტრატეგიული პრიორიტეტების, საუნივერსიტეტო საზოგადოების საჭიროებების, არსებული რესურსებისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით.
3. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ფოკუსირდება SMART მიზნებზე, რათა ისინი იყოს ზუსტი (Specific), გაზომვადი (Measurable), მიღწევადი (Achievable), შესაბამისი (Relevant), დროში განსაზღვრული (Time-bound).

მუხლი 5. ინტერნაციონალიზაციის პრინციპები

1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

   ა) **ხარისხსა და შედეგებზე ორიენტირება და უწყვეტი გაუმჯობესება** – საერთაშორისო საქმიანობა იგეგმება, ხორციელდება და ფასდება მისი აკადემიური, კვლევითი, ინსტიტუციური და საზოგადოებრივი შედეგების, აგრეთვე სწავლა-სწავლების, კვლევის, მართვისა და საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხზე გავლენის გათვალისწინებით, ხოლო შეფასების შედეგები გამოიყენება შესაბამისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

   ბ) **აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება** – საერთაშორისო საქმიანობა ხორციელდება აკადემიური თავისუფლების, კვლევის ეთიკის, პროფესიული და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით;

   გ) **თანასწორობა და ინკლუზიურობა** – საერთაშორისო შესაძლებლობებზე წვდომა ეფუძნება თანასწორ მოპყრობას, სამართლიანობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას და ითვალისწინებს მონაწილეთა განსხვავებულ საჭიროებებს;

   დ) **მრავალფეროვნებისა და კულტურული თავისებურებების პატივისცემა** – საერთაშორისო საქმიანობა ეფუძნება კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს, განსხვავებული გამოცდილებისა და პერსპექტივების გაზიარებასა და მრავალფეროვანი საუნივერსიტეტო გარემოს განვითარებას;

   ე) **ურთიერთსარგებლიანობა და პარტნიორთა თანასწორი მონაწილეობა** – საერთაშორისო თანამშრომლობა ეფუძნება მხარეთა საერთო ინტერესებს, თანასწორ მონაწილეობას, პასუხისმგებლობების სამართლიან განაწილებასა და ურთიერთსარგებელს;

   ვ) **მდგრადობა და პასუხისმგებლობა** – საერთაშორისო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს მის გრძელვადიან შედეგებს, ფინანსურ და ინსტიტუციურ მდგრადობას, რესურსების გონივრულ გამოყენებასა და სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას;

   ზ) **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** – საერთაშორისო შესაძლებლობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, პროცედურები და შერჩევის კრიტერიუმები არის მკაფიო, ხელმისაწვდომი და დასაბუთებული, ხოლო შესაბამისი პირები და სტრუქტურული ერთეულები ანგარიშვალდებული არიან მიღებული გადაწყვეტილებებისა და შედეგებისათვის;

   თ) **თანამონაწილეობა** – ინტერნაციონალიზაციის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობენ სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

2. ამ მუხლით განსაზღვრული პრინციპები ვრცელდება საერთაშორისო საქმიანობის დაგეგმვის, შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ყველა ეტაპზე და მათი დაცვა სავალდებულოა ამ საქმიანობაში ჩართული უნივერსიტეტის ორგანოების, სტრუქტურული ერთეულებისა და პირებისათვის.

თავი II. სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია და „ინტერნაციონალიზაცია სახლში“

მუხლი 6. სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში, სწავლის შედეგებში, შინაარსში, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებში.
2. სწავლა-სწავლების ინტერნაციონალიზაცია ემსახურება სტუდენტების მიერ შესაბამისი დარგის განვითარების საერთაშორისო ტენდენციებისა და განსხვავებული აკადემიური და პროფესიული პერსპექტივების გააზრებას და საერთაშორისო და ინტერკულტურულ გარემოში საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას.
3. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება განხორციელდეს:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარებისას საერთაშორისო გამოცდილებისა და შესაბამის დარგში აღიარებული პრაქტიკის გათვალისწინებით;
   ბ) უცხოური და საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო რესურსების გამოყენებით;
   გ) სასწავლო კურსების შინაარსში საერთაშორისო, შედარებითი, ინტერკულტურული და გლობალური საკითხების ინტეგრირებით;
   დ) უცხოელი აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და დარგის სპეციალისტების სწავლა-სწავლების პროცესში ჩართულობით;
   ე) საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით;
   ვ) სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებში, კონფერენციებსა და სხვა აკადემიურ საქმიანობაში მონაწილეობით;
   ზ) საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების სხვა შესაბამისი ფორმებით.
4. საგანმანათლებლო პროგრამაში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური კომპონენტების ინტეგრირების ფორმები და მოცულობა განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგებისა და სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.

მუხლი 7. ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო საქმიანობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებას.
2. ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს:
   ა) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებითა და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭებით;
   ბ) ორმაგი აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო თანამშრომლობით;
   გ) ერთობლივი სასწავლო კურსის ან მოდულის განხორციელებით;

დ) საზაფხულო ან ზამთრის სკოლის, ინტენსიური პროგრამის, ტრენინგის ან სხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით;

ე) ერთობლივი ონლაინ ან შერეული სწავლებით;

ვ) სხვა შესაბამისი საგანმანათლებლო ფორმით.

3. ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისას უნივერსიტეტი აფასებს მის აკადემიურ მიზანშეწონილობას, პარტნიორი დაწესებულების სტატუსს, შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებასა და შესაძლებლობებს, მხარეთა პასუხისმგებლობებს, სტუდენტთა ინტერესებს, საჭირო რესურსებს, ხარისხის უზრუნველყოფის პირობებსა და მოსალოდნელ შედეგებს.
4. ერთობლივი საერთაშორისო საგანმანათლებლო საქმიანობის დაწყებამდე განისაზღვრება მხარეთა პასუხისმგებლობები, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, სტუდენტთა მიღების, მხარდაჭერისა და უფლებების დაცვის პირობები, მიღწეული სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარების საკითხები და შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული პროცედურები.

მუხლი 8. „ინტერნაციონალიზაცია სახლში“

1. უნივერსიტეტი „ინტერნაციონალიზაციას სახლში“ განიხილავს ყველა სტუდენტისათვის განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების საშუალებად, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა სტუდენტი საერთაშორისო მობილობაში.
2. „ინტერნაციონალიზაცია სახლში“ გულისხმობს საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების უნივერსიტეტის შიდა საგანმანათლებლო, კვლევით, სოციალურ და კულტურულ გარემოში ინტეგრირებას.
3. „ინტერნაციონალიზაცია სახლში“ შეიძლება განხორციელდეს:

ა) უცხოელი სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და მოწვეული სპეციალისტების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულობით;

ბ) ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების ერთობლივი სასწავლო, კვლევითი, კულტურული და საზოგადოებრივი საქმიანობით;

გ) უცხოურ პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი ონლაინ სწავლებით, ვირტუალური მობილობითა და ციფრული თანამშრომლობის სხვა ფორმებით;

დ) უცხოურ ენაზე განხორციელებული და საერთაშორისო, ინტერკულტურული ან გლობალური შინაარსის შემცველი სასწავლო კურსებითა და სხვა აკადემიური საქმიანობით;

ე) საერთაშორისო კვირეულების, საჯარო ლექციების, სემინარების, კონფერენციებისა და კულტურათაშორისი ღონისძიებების ორგანიზებით;

ვ) საერთაშორისო მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის მიერ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის გაზიარებით;

ზ) ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მენტორობის, თანატოლთა მხარდაჭერისა და ინტეგრაციის სხვა მექანიზმებით.

4. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების თანაბარ და აქტიურ მონაწილეობას აკადემიურ და სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში და მათ შორის კულტურათაშორისი დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას.
5. ციფრული და ვირტუალური ფორმით განხორციელებული საერთაშორისო საქმიანობა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პერსონალური მონაცემების დაცვის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს.

მუხლი 9. უცხოურ ენებზე სწავლა და ენობრივი მხარდაჭერა

1. უნივერსიტეტი, საგანმანათლებლო და კვლევითი პრიორიტეტებისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, ხელს უწყობს უცხოურ ენებზე საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსებისა და სხვა აკადემიური საქმიანობის შემუშავებასა და განხორციელებას.
2. უცხოურ ენაზე სწავლა-სწავლების განხორციელებისას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
   ა) სწავლა-სწავლების პროცესში შესაბამისი ენობრივი და პროფესიული კომპეტენციის მქონე პერსონალის ჩართულობას;
   ბ) სტუდენტებისათვის შესაბამისი სასწავლო და საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას;
   გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით ან სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას.
3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის უცხოური ენობრივი კომპეტენციების განვითარებას საერთაშორისო მობილობაში, სწავლა-სწავლებაში, კვლევასა და საერთაშორისო თანამშრომლობაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით.
4. უნივერსიტეტი, საჭიროებისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით, უცხოელ სტუდენტებსა და პერსონალს სთავაზობს სწავლების ენის დამატებითი მხარდაჭერისა და ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობის შესაძლებლობებს.
5. საუნივერსიტეტო საქმიანობაში უცხოური ენის გამოყენება უნდა გამომდინარეობდეს შესაბამისი საქმიანობის მიზნებიდან და არ უნდა ქმნიდეს მონაწილეობის დაუსაბუთებელ ბარიერს.

მუხლი 10. უცხოელი აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს უცხოელი აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და მოწვეული სპეციალისტების მონაწილეობას:
   ა) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში;
   ბ) სწავლა-სწავლების პროცესში;
   გ) ერთობლივი კვლევებისა და კვლევითი პროექტების განხორციელებაში;

დ) სტუდენტთა კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობაში, თანახელმძღვანელობასა და კონსულტირებაში, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტში დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

ე) პროფესიული განვითარების ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში;

ვ) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებასა და განვითარებაში;

ზ) სხვა შესაბამის საუნივერსიტეტო საქმიანობაში.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული პირის შერჩევა და მოწვევა ეფუძნება მის აკადემიურ ან პროფესიულ კვალიფიკაციას, გამოცდილებასა და დაგეგმილი საქმიანობის მიზნებთან შესაბამისობას.
3. უნივერსიტეტი ამ მუხლით გათვალისწინებულ პირს წინასწარ აცნობს:

ა) დაგეგმილი საქმიანობის მიზნებს, შინაარსსა და პირობებს;

ბ) მხარეთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს;

გ) უნივერსიტეტის შესაბამის რეგულაციებს;

დ) ხელმისაწვდომ რესურსებსა და მხარდამჭერ სერვისებს.

4. უნივერსიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი პირის საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს მის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და სოციალურ გარემოში ადაპტირებასა და ინტეგრაციას.
5. უცხოელი აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა უნდა ემსახურებოდეს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, სტუდენტებისა და პერსონალის განვითარებას, მდგრადი აკადემიური და კვლევითი თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და უნივერსიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.
6. უნივერსიტეტი უცხოელ აკადემიურ პერსონალს, მკვლევრებსა და მოწვეულ სპეციალისტებს აძლევს შესაძლებლობას, წარმოადგინონ უკუკავშირი თავიანთი საუნივერსიტეტო გამოცდილების შესახებ, ხოლო შეფასების შედეგებს იყენებს მათი შერჩევის, მოწვევის, მხარდაჭერისა და ჩართულობის მექანიზმების გასაუმჯობესებლად.

თავი III. სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა

მუხლი 11. საერთაშორისო მობილობის მიზანი და ფორმები

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას მათი აკადემიური, კვლევითი, პროფესიული და ინტერკულტურული განვითარების მიზნით.
2. საერთაშორისო მობილობა შეიძლება განხორციელდეს:

ა) სწავლის მიზნით;

ბ) სასწავლო, კვლევითი ან პროფესიული პრაქტიკის გავლის მიზნით;

გ) სწავლების მიზნით;

დ) კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ე) პროფესიული განვითარების, გამოცდილების გაზიარების ან სამუშაო პროცესზე დაკვირვების მიზნით;

ვ) საზაფხულო ან ზამთრის სკოლაში, ინტენსიურ პროგრამაში, ტრენინგში ან სხვა მოკლევადიან აკადემიურ ან პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის მიზნით;

ზ) წინამდებარე პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისი სხვა მიზნით.

3. საერთაშორისო მობილობა შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური, ვირტუალური ან შერეული ფორმით.
4. საერთაშორისო მობილობა შეიძლება განხორციელდეს უნივერსიტეტებს ან სხვა შესაბამის დაწესებულებებს შორის გაფორმებული შეთანხმების, საერთაშორისო პროგრამის, პროექტის ან საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა სათანადო საფუძვლის ფარგლებში.
5. უნივერსიტეტი საერთაშორისო მობილობას განიხილავს როგორც მონაწილეთა ინდივიდუალური განვითარების, ისე უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებად.

მუხლი 12. მობილობის მონაწილეთა შერჩევა და თანაბარი ხელმისაწვდომობა

1. საერთაშორისო მობილობის მონაწილეთა შერჩევა ხორციელდება შესაბამისი მობილობის მიზნებიდან და პირობებიდან გამომდინარე, წინასწარ განსაზღვრული და გამოქვეყნებული კრიტერიუმების საფუძველზე, თანასწორობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.
2. შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება მობილობის მიზნის, მონაწილის სტატუსისა და შესაბამისი პროგრამის ან პროექტის მოთხოვნების გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს:

   ა) აკადემიურ მოსწრებას;

   ბ) უცხოური ენის ცოდნას;

   გ) მონაწილეობის მოტივაციასა და მობილობის მიზნებთან შესაბამისობას;

   დ) აკადემიურ, კვლევით ან პროფესიულ გამოცდილებას;

   ე) მობილობის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომი გამოყენებისა და გაზიარების შესაძლებლობას;

   ვ) შესაბამისი პროგრამით ან პროექტით განსაზღვრულ სხვა კრიტერიუმებს.
3. მობილობის შესაძლებლობის, მონაწილეობის პირობების, შერჩევის კრიტერიუმების, წარსადგენი დოკუმენტების, გადაწყვეტილების მიღებისა და შერჩევის შედეგების გასაჩივრების წესის შესახებ ინფორმაცია მსურველთათვის წინასწარ უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
4. შერჩევის პროცესში მონაწილე პირი ვალდებულია განაცხადოს ფაქტობრივი ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა იმ კანდიდატის შეფასებასა და მის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელთან მიმართებითაც მისი მიუკერძოებლობა შეიძლება გონივრულად დადგეს ეჭვქვეშ.
5. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობაში იმ პირთა მონაწილეობას, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის,

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ან სხვა ინდივიდუალური გარემოების გამო დამატებითი მხარდაჭერა ესაჭიროებათ.

6. საერთაშორისო შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი, შესაბამისი პროგრამის პირობებისა და არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, ახორციელებს გონივრულ და საჭიროებებზე მორგებულ მხარდამჭერ ღონისძიებებს.

მუხლი 13. გამავალი მობილობის მონაწილეთა მომზადება და მხარდაჭერა

1. უნივერსიტეტი გამავალი მობილობის მონაწილეს, მობილობის მიზნის, ფორმისა და მონაწილის სტატუსის გათვალისწინებით, წინასწარ აწვდის ინფორმაციას:
   ა) მასპინძელი დაწესებულებისა და მობილობის შესაბამისი პროგრამის შესახებ;
   ბ) დაგეგმილი სასწავლო, კვლევითი ან პროფესიული საქმიანობის პირობების შესახებ;
   გ) სტუდენტის მობილობის შემთხვევაში – სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარების წესისა და წინაპირობების შესახებ;
   დ) მობილობის ფინანსური პირობებისა და მოსალოდნელი ხარჯების შესახებ;
   ე) ვიზის, დაზღვევის, საცხოვრებლის, უსაფრთხოებისა და სხვა პრაქტიკული საკითხების შესახებ, უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში;
   ვ) მონაწილის უფლებების, მოვალეობებისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესახებ;
   ზ) უნივერსიტეტსა და მასპინძელ დაწესებულებასთან კომუნიკაციისა და საგანგებო შემთხვევაში დაკავშირების საშუალებების შესახებ.
2. უნივერსიტეტი, საჭიროების შესაბამისად, ხელს უწყობს მობილობის მონაწილეთა ენობრივ, აკადემიურ და ინტერკულტურულ მომზადებას.
3. მობილობის პერიოდში უნივერსიტეტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მასპინძელ დაწესებულებასთან თანამშრომლობით, ინარჩუნებს მონაწილესთან კომუნიკაციას და უწევს მას შესაბამის საკონსულტაციო მხარდაჭერას.
4. უნივერსიტეტი წინასწარ განსაზღვრავს საგანგებო ან კრიზისული ვითარების დროს მობილობის მონაწილესთან კომუნიკაციისა და შესაბამისი რეაგირების მექანიზმებს.
5. მობილობის მონაწილე ვალდებულია:
   ა) დაიცვას უნივერსიტეტის, მასპინძელი დაწესებულებისა და შესაბამისი პროგრამის მოთხოვნები;
   ბ) დაიცვას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმები;
   გ) დაიცვას მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობა და პატივი სცეს მის კულტურულ გარემოს;
   დ) უნივერსიტეტსა და მასპინძელ დაწესებულებას დროულად აცნობოს გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება არსებითად იმოქმედოს მობილობის განხორციელებაზე, მის მონაწილეობასა ან უსაფრთხოებაზე.

მუხლი 14. მობილობის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარება

1. სტუდენტის მიერ მობილობის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კომპონენტები, მისაღწევი სწავლის შედეგები და მოსაპოვებელი კრედიტები განისაზღვრება

მობილობის დაწყებამდე სტუდენტს, უნივერსიტეტსა და მასპინძელ დაწესებულებას შორის გაფორმებული სასწავლო შეთანხმებით.

2. მობილობის პერიოდში სასწავლო შეთანხმებაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს სტუდენტის, უნივერსიტეტისა და მასპინძელი დაწესებულების შეთანხმებით. ცვლილება უნდა გაფორმდეს დროულად და აისახოს სასწავლო შეთანხმებაში.
3. სასწავლო შეთანხმებით გათვალისწინებული და სტუდენტის მიერ წარმატებით შესრულებული სასწავლო კომპონენტები, მიღწეული სწავლის შედეგები და მოპოვებული კრედიტები აღიარებას ექვემდებარება სრულად, სასწავლო შეთანხმებისა და მობილობის შედეგების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე.
4. მობილობის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კომპონენტების წინასწარი შეთანხმება და მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ეფუძნება მათ თავსებადობას სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამასთან და არ მოითხოვს სასწავლო კომპონენტების დასახელებების, შინაარსისა და მოცულობის სრულ იდენტურობას.
5. მობილობის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარება, შეფასებების შესაბამის სისტემაში გადაყვანა და სტუდენტის სასწავლო დოკუმენტაციაში ასახვა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესით, გამჭვირვალედ და დროულად.
6. აღიარების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ეცნობოს სტუდენტს. სტუდენტი უფლებამოსილია გადაწყვეტილება გაასაჩივროს უნივერსიტეტში დადგენილი წესით.

მუხლი 15. შემომავალი მობილობის მონაწილეთა მიღება და მხარდაჭერა

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემომავალი მობილობის სტუდენტებისა და პერსონალის ორგანიზებულ მიღებას და ქმნის მათი აკადემიურ, ადმინისტრაციულ და სოციალურ გარემოში ადაპტირებისა და ინტეგრაციისათვის საჭირო პირობებს.
2. უნივერსიტეტი შემომავალი მობილობის მონაწილეებს, მათი სტატუსის, მობილობის მიზნისა და საჭიროებების გათვალისწინებით, აწვდის ინფორმაციას:

   ა) დაგეგმილი სასწავლო, კვლევითი ან პროფესიული საქმიანობის პირობების შესახებ;

   ბ) უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციების, სასწავლო რესურსებისა და სერვისების შესახებ;

   გ) აკადემიური კალენდრის, შეფასების სისტემისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნების შესახებ;

   დ) მონაწილის უფლებების, მოვალეობებისა და შესაბამისი გასაჩივრების მექანიზმების შესახებ;

   ე) საორიენტაციო, საკონსულტაციო, ენობრივი და სხვა მხარდამჭერი სერვისების შესახებ;

   ვ) უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და საგანგებო შემთხვევებში რეაგირების მექანიზმების შესახებ;

ზ) საცხოვრებელთან, დაზღვევასთან, ქვეყანაში კანონიერად ყოფნასა და სხვა პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ, უნივერსიტეტის კომპეტენციის ფარგლებში.

3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს შემომავალი მობილობის მონაწილეთა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათ მონაწილეობას სასწავლო, კვლევით, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
4. შემომავალი მობილობის სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები, მოპოვებული კრედიტები და მიღებული შეფასებები აისახება შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტში, რომელიც დროულად მიეწოდება სტუდენტსა და გამომგზავნ დაწესებულებას.
5. შემომავალი მობილობის მონაწილეთა მიერ უნივერსიტეტის რესურსებითა და სერვისებით სარგებლობის პირობები განისაზღვრება მათი სტატუსის, მობილობის შესაბამისი პროგრამისა და პარტნიორული შეთანხმების გათვალისწინებით.
6. შემომავალი მობილობის მონაწილე ვალდებულია დაიცვას უნივერსიტეტის შესაბამისი რეგულაციები, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმები და მობილობის პროგრამით განსაზღვრული პირობები.

მუხლი 16. პერსონალის საერთაშორისო მობილობა

1. პერსონალის საერთაშორისო მობილობა ემსახურება სწავლა-სწავლების, კვლევის, მართვისა და საუნივერსიტეტო სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.
2. პერსონალის საერთაშორისო მობილობა შეიძლება განხორციელდეს:
   ა) სწავლების ან კვლევის მიზნით;
   ბ) პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით;
   გ) პარტნიორ დაწესებულებაში სამუშაო პროცესზე დაკვირვების, გამოცდილების გაზიარების ან შესაბამისი პრაქტიკის გაცნობის მიზნით;
   დ) საერთაშორისო პროექტის ან აკადემიური ან პროფესიული ქსელის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით;
   ე) სხვა შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული მიზნით.
3. პერსონალის მობილობის დაწყებამდე განისაზღვრება მობილობის მიზანი, დაგეგმილი საქმიანობა, მოსალოდნელი შედეგები და მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საუნივერსიტეტო საქმიანობაში გამოყენების შესაძლებლობები.
4. მობილობაში მონაწილე პერსონალი, მობილობის მიზნისა და მიღებული შედეგების გათვალისწინებით, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულსა და საუნივერსიტეტო საზოგადოებას უზიარებს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას და ხელს უწყობს მათ პრაქტიკულ გამოყენებას.
5. უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალის მობილობის შედეგად მიღებული ცოდნის, გამოცდილებისა და პროფესიული კავშირების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობასა და ინსტიტუციური განვითარების პროცესებში გამოყენებას.

მუხლი 17. მობილობის შედეგების შეფასება და გამოყენება

1. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს საერთაშორისო მობილობის განხორციელებას, მონაწილეთა გამოცდილებასა და მიღებულ შედეგებს.
2. შეფასებისას, მობილობის მიზნის, ფორმისა და მონაწილის სტატუსის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება:
   ა) მობილობის აკადემიური, კვლევითი, პროფესიული და ინსტიტუციური შედეგები;
   ბ) მონაწილეთა გამოცდილება და უკუკავშირი;
   გ) მობილობის შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა;
   დ) მონაწილეთა მომზადებისა და მხარდაჭერის ეფექტიანობა;
   ე) სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარების ეფექტიანობა, სტუდენტის მობილობის შემთხვევაში;
   ვ) მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საუნივერსიტეტო საქმიანობაში გაზიარება და გამოყენება.
3. შეფასების შედეგები გამოიყენება საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობების, მონაწილეთა შერჩევის, მომზადებისა და მხარდაჭერის, სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარებისა და მობილობის შედეგების გამოყენების მექანიზმების გასაუმჯობესებლად.
4. უნივერსიტეტი ქმნის მობილობის მონაწილეთა უკუკავშირის მიღებისა და მათი გამოცდილებისა და მიღებული შედეგების საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის გაზიარების შესაძლებლობებს.
5. ამ მუხლით გათვალისწინებული შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების ერთიანი სისტემის ფარგლებში.

თავი IV. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, მიღება და მხარდაჭერა

მუხლი 18. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მიღება

1. უნივერსიტეტი, თავისი აკადემიური პროფილის, სტრატეგიული პრიორიტეტების, არსებული რესურსებისა და შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების გათვალისწინებით, შეიძლება ახორციელებდეს უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და მიღებას.
2. უცხოელი სტუდენტების მოზიდვა და მიღება ეფუძნება ხარისხზე ორიენტირების, თანასწორობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და აპლიკანტის ინტერესების პატივისცემის პრინციპებს.
3. უნივერსიტეტი უცხოელ აპლიკანტებს აწვდის ზუსტ, გასაგებ, სრულ და განახლებულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სტატუსის, საგანმანათლებლო პროგრამის, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლების ენის, მიღების წინაპირობების, სწავლის საფასურის, შესაძლო დამატებითი ხარჯებისა და ხელმისაწვდომი მხარდამჭერი სერვისების შესახებ.
4. უნივერსიტეტის სახელით გავრცელებული ინფორმაცია არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი ან ქმნიდეს დაუსაბუთებელ მოლოდინს სწავლის შედეგების, დასაქმების,

კვალიფიკაციის პროფესიული აღიარების, დაფინანსების ან სხვა არსებითი გარემოების შესახებ.

5. უცხოელი სტუდენტების მოზიდვაში მესამე პირის მონაწილეობის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის წინასწარ შეფასებას, სახელშეკრულებო მოწესრიგებასა და მონიტორინგს.

მუხლი 19. უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერა და ინტეგრაცია

1. უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი, მათი რაოდენობის, საჭიროებებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს აკადემიური, ენობრივი, ადმინისტრაციული და სოციალური მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას.
2. უნივერსიტეტი უცხოელ სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სასწავლო პროცესის, შეფასების სისტემის, აკადემიური კეთილსინდისიერების, სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების, სასწავლო რესურსების, ხელმისაწვდომი სერვისების, უსაფრთხოებისა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული შესაბამისი საკითხების შესახებ.
3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათ თანაბარ მონაწილეობას სასწავლო, კვლევით, კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში.
4. უცხოელი სტუდენტების მხარდაჭერისა და ინტეგრაციის მექანიზმები ვითარდება მათი საჭიროებების, უკუკავშირისა და შეფასების შედეგების საფუძველზე.

თავი V. კვლევის ინტერნაციონალიზაცია

მუხლი 20. კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნები და ძირითადი ფორმები

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის საერთაშორისო განზომილების განვითარებას, საერთაშორისო კვლევით სივრცეში ინტეგრაციასა და გლობალური ცოდნის შექმნასა და გავრცელებაში საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობას.
2. კვლევის ინტერნაციონალიზაციის მიზნებია:

   ა) კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და მისი საერთაშორისო ხილვადობისა და გავლენის გაძლიერება;

   ბ) უცხოურ უნივერსიტეტებთან, კვლევით დაწესებულებებთან, სამეცნიერო და პროფესიულ ქსელებსა და სხვა შესაბამის პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარება;

   გ) საერთაშორისო მონაწილეობით ერთობლივი და ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელება;

   დ) საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობის გაფართოება;

   ე) აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების კვლევითი, საერთაშორისო და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება;

ვ) უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნის საერთაშორისო გავრცელებისა და გამოყენების ხელშეწყობა;

ზ) უცხოელი მკვლევრების უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში ჩართულობა;

თ) ადგილობრივი, ეროვნული და გლობალური მნიშვნელობის საკითხებზე საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის განვითარება.

3. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ერთობლივი კვლევითი პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას;

ბ) საერთაშორისო კვლევით საგრანტო კონკურსებსა და დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობას;

გ) ერთობლივი კვლევითი ჯგუფების, ცენტრების, ლაბორატორიებისა და ქსელების შექმნას ან მათ საქმიანობაში მონაწილეობას;

დ) კვლევითი ინფრასტრუქტურის, რესურსების, მონაცემებისა და გამოცდილების გაზიარებას;

ე) ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციების, ანგარიშებისა და სხვა კვლევითი პროდუქტების მომზადებას;

ვ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებასა და მათში მონაწილეობას;

ზ) აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კვლევითი მობილობა;

თ) უნივერსიტეტის კვლევით მიზნებსა და პრიორიტეტებთან შესაბამის სხვა საქმიანობას.

4. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის დაგეგმვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს თანამშრომლობის აკადემიურ და კვლევით მიზანშეწონილობას, პარტნიორის შესაძლებლობებსა და რეპუტაციას, მოსალოდნელ შედეგებს, მხარეთა წვლილსა და პასუხისმგებლობებს, საჭირო რესურსებსა და შესაძლო რისკებს.

5. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ისეთი საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის განვითარებაზე, რომელიც ქმნის მდგრად ინსტიტუციურ კავშირებს, აძლიერებს უნივერსიტეტის კვლევით შესაძლებლობებს და ხელს უწყობს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შემდგომ გამოყენებას.

6. კვლევის ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება აკადემიური თავისუფლების, კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანი კვლევის პრინციპების დაცვით.

მუხლი 21. საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კვლევით პროექტებში, საგრანტო კონკურსებსა და დაფინანსების სხვა პროგრამებში.

2. უნივერსიტეტი, არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით:

ა) ავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო კვლევითი დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ;

ბ) ხელს უწყობს პარტნიორების მოძიებასა და საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ჩამოყალიბებას;

გ) აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და დოქტორანტებს უწევს საკონსულტაციო და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას საპროექტო განაცხადების მომზადების, პროექტების განხორციელებისა და შესაბამისი ანგარიშგების პროცესში;

დ) ხელს უწყობს პროექტის შედეგების გავრცელებას, გამოყენებასა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ინტეგრირებას.

3. საერთაშორისო პროექტის დაგეგმვისა და განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს შესაბამისი პროგრამისა და დონორის მოთხოვნები, უნივერსიტეტის რეგულაციები, ფინანსური გამჭვირვალობის, კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ინტერესთა კონფლიქტის მართვის პრინციპები.
4. საერთაშორისო პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ინსტიტუციური შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის კვლევითი, საგანმანათლებლო და მმართველობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად, კონფიდენციალურობის, პერსონალური და კვლევითი მონაცემების დაცვის, ინტელექტუალური საკუთრებისა და სხვა შესაბამისი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 22. აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კვლევითი ინტეგრაცია

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კვლევით მობილობას, პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო კვლევით სივრცესა და ქსელებში ინტეგრაციას.
2. საერთაშორისო კვლევითი ინტეგრაციის ხელშემწყობი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს:

   ა) უცხოურ უნივერსიტეტებში, კვლევით ცენტრებში, ლაბორატორიებსა და სხვა შესაბამის დაწესებულებებში კვლევით ვიზიტებს;

   ბ) საერთაშორისო კვლევით პროექტებსა და კვლევითი ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობას;

   გ) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, სკოლებსა და პროფესიული განვითარების სხვა ღონისძიებებში მონაწილეობას;

   დ) კვლევის მეთოდების, ტექნოლოგიებისა და კვლევის მართვის კომპეტენციების განვითარებას;

   ე) უცხოელი მეცნიერების ჩართულობას სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობაში, თანახელმძღვანელობასა და კონსულტირებაში, უნივერსიტეტში დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;

   ვ) უცხოელ მეცნიერებთან ერთობლივი პუბლიკაციებისა და სხვა კვლევითი პროდუქტების მომზადებას;

   ზ) საერთაშორისო სამეცნიერო და პროფესიულ ქსელებში მონაწილეობას.
3. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დოქტორანტებისათვის საერთაშორისო კვლევითი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას და მათი კვლევითი კომპეტენციებისა და პროფესიული კავშირების განვითარებას.

4. დოქტორანტის საერთაშორისო კვლევითი საქმიანობა უნდა გამომდინარეობდეს მისი კვლევის მიზნებიდან და ხელს უწყობდეს სადოქტორო ნაშრომის ხარისხის, კვლევითი დამოუკიდებლობისა და აკადემიური განვითარების გაძლიერებას.
5. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ცოდნის, გამოცდილების, მეთოდოლოგიური მიდგომებისა და პროფესიული კავშირების საუნივერსიტეტო საზოგადოებაში გაზიარებასა და გამოყენებას.

მუხლი 23. კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელება და ხელმისაწვდომობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის შედეგების საერთაშორისო აკადემიურ, პროფესიულ და საზოგადოებრივ სივრცეში გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას.
2. კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელება შეიძლება განხორციელდეს:
   ა) საერთაშორისო რეფერირებად და ინდექსირებულ სამეცნიერო გამოცემებში გამოქვეყნებით;
   ბ) საერთაშორისო კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენით;
   გ) უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივი პუბლიკაციებისა და სხვა კვლევითი პროდუქტების მომზადებით;
   დ) სამეცნიერო მონაცემთა ბაზებში, საცავებსა და აკადემიურ პლატფორმებზე განთავსებით;
   ე) კვლევის შედეგების უცხოურ ენაზე მომზადებითა და საერთაშორისო აუდიტორიისათვის გავრცელებით;
   ვ) სხვა შესაბამისი ფორმით.
3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ღია მეცნიერებისა და კვლევის შედეგებზე ღია წვდომის პრინციპების დანერგვას, კვლევითი მონაცემების პასუხისმგებლიან გაზიარებასა და შედეგების ხელმისაწვდომობის გაზრდას ინტელექტუალური საკუთრების, პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობის, კვლევის მონაწილეთა უფლებებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვით.
4. კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს ავტორობისა და თანაავტორობის, ციტირების, კვლევითი მონაცემების მართვის, ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიანი გამოყენებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების მოთხოვნები.
5. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის შედეგების გავრცელებისათვის სანდო, რეფერირებადი და შესაბამისი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების მქონე გამოცემების, ღონისძიებებისა და პლატფორმების შერჩევას.
6. უნივერსიტეტი კვლევის შედეგების აკადემიურ სივრცეში გავრცელებასთან ერთად ხელს უწყობს მათი საზოგადოებრივი, პროფესიული და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობების განვითარებას.

მუხლი 24. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის ეთიკა, უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა

1. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა ხორციელდება ადამიანის ღირსების, უფლებებისა და უსაფრთხოების, აკადემიური თავისუფლების, კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანი კვლევის პრინციპების, აგრეთვე უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.
2. საერთაშორისო კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას, საჭიროების შესაბამისად, გათვალისწინებული უნდა იქნეს:
   ა) კვლევის ეთიკური შეფასებისა და შესაბამისი ნებართვების მიღების აუცილებლობა;
   ბ) კვლევითი მონაცემების დაცვის, შენახვის, გაზიარებისა და გადაცემის მოთხოვნები;
   გ) პერსონალური მონაცემებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;
   დ) ინტელექტუალური საკუთრების, ავტორობის, გამოქვეყნებისა და კვლევის შედეგების გამოყენების პირობები;
   ე) ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენისა და მართვის საჭიროება;
   ვ) კვლევის მონაწილეთა და კვლევის განმახორციელებელ პირთა უსაფრთხოება;
   ზ) კვლევითი ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემების უსაფრთხოება;
   თ) თანამშრომლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ფინანსური, ეთიკური, უსაფრთხოების, რეპუტაციული და სხვა რისკები.
3. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის დაწყებამდე, მისი შინაარსისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება:
   ა) მხარეთა როლები და პასუხისმგებლობები;
   ბ) კვლევით მონაცემებსა და შედეგებზე წვდომის პირობები;
   გ) ინტელექტუალური საკუთრებისა და ავტორობის საკითხები;
   დ) კვლევის შედეგების გამოქვეყნებისა და გამოყენების პირობები;
   ე) კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნები;
   ვ) ფინანსური და რესურსებთან დაკავშირებული პირობები, საჭიროების შემთხვევაში;
   ზ) დავის გადაწყვეტის, თანამშრომლობის ცვლილებისა და შეწყვეტის პირობები.
4. უნივერსიტეტი საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობასთან დაკავშირებულ რისკებს აფასებს თანამშრომლობის დაწყებამდე და მისი განხორციელების პროცესში და, საჭიროების შემთხვევაში, იღებს რისკების პრევენციის, შემცირების ან მართვის შესაბამის ზომებს.
5. უნივერსიტეტი არ დაიწყებს ან შეწყვეტს ისეთ საერთაშორისო კვლევით თანამშრომლობას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მისიას, ღირებულებებს, კვლევის ეთიკის, აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს ან ქმნის ადამიანის უფლებების, უსაფრთხოების, კვლევის დამოუკიდებლობის ან უნივერსიტეტის ინსტიტუციური ავტონომიის ხელყოფის არსებით და სათანადოდ უმართავ საფრთხეს.

თავი VI. საერთაშორისო პარტნიორობები და საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობა

მუხლი 25. საერთაშორისო პარტნიორობის მიზნები და ფორმები

1. უნივერსიტეტი ავითარებს საერთაშორისო პარტნიორობას სწავლა-სწავლების, კვლევის, მობილობის, პროფესიული განვითარების, ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის გაძლიერების მიზნით.
2. საერთაშორისო პარტნიორობა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და წინამდებარე პოლიტიკის მიზნებს.
3. უნივერსიტეტი ორიენტირებულია შედეგზე ორიენტირებული, ურთიერთსასარგებლო და მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაზე, რომელიც:
   ა) ხელს უწყობს განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას;
   ბ) ქმნის სტუდენტებისა და პერსონალის განვითარების შესაძლებლობებს;
   გ) ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილებისა და რესურსების გაზიარებას;
   დ) აძლიერებს უნივერსიტეტის ინსტიტუციურ შესაძლებლობებს;
   ე) ხელს უწყობს უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში ინტეგრაციას;
   ვ) ქმნის გრძელვადიანი თანამშრომლობის საფუძველს.
4. საერთაშორისო პარტნიორობა შეიძლება მოიცავდეს:
   ა) სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას;
   ბ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსებისა და მოდულების განხორციელებას;
   გ) ერთობლივი კვლევითი პროექტებისა და სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებას;
   დ) საერთაშორისო საგრანტო პროექტების მომზადებასა და განხორციელებას;
   ე) დოქტორანტთა ერთობლივ ხელმძღვანელობას, თანახელმძღვანელობასა და კვლევით მხარდაჭერას;
   ვ) აკადემიური და პროფესიული განვითარების ერთობლივ საქმიანობას;
   ზ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, საზაფხულო და ზამთრის სკოლებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას;
   თ) გამოცდილების, მონაცემების, რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გაზიარებას;
   ი) ვირტუალურ და შერეულ საგანმანათლებლო და კვლევით თანამშრომლობას;
   კ) საერთაშორისო ქსელებში, ასოციაციებსა და კონსორციუმებში მონაწილეობას;
   ლ) უნივერსიტეტის მისიასა და წინამდებარე პოლიტიკის მიზნებთან შესაბამის სხვა საქმიანობას.
5. საერთაშორისო პარტნიორობა არ უნდა ზღუდავდეს უნივერსიტეტის აკადემიურ თავისუფლებას, ინსტიტუციურ ავტონომიას, კვლევის დამოუკიდებლობას ან საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

მუხლი 26. საერთაშორისო პარტნიორები

1. ინტერნაციონალიზაციის მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი შეიძლება თანამშრომლობდეს უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო და პროფესიულ გაერთიანებებთან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და სხვა შესაბამის სუბიექტებთან.
2. არასაუნივერსიტეტო პარტნიორებთან თანამშრომლობა შეიძლება ემსახურებოდეს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული და საერთაშორისო განზომილებების გაძლიერებას;
ბ) კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელებას;
გ) სტუდენტებისა და პერსონალის პრაქტიკის, პროფესიული განვითარებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას;
დ) ცოდნის, გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გაზიარებას;
ე) საზოგადოებრივი მნიშვნელობის საერთაშორისო პროექტების განხორციელებას;
ვ) უნივერსიტეტის მისიასა და პოლიტიკის მიზნებთან შესაბამის სხვა საქმიანობას.

3. საერთაშორისო პარტნიორის სახეობის მიუხედავად, თანამშრომლობა ხორციელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პრინციპების, აკადემიური თავისუფლების, ინსტიტუციური ავტონომიისა და მხარეთა პასუხისმგებლობების დაცვით.

მუხლი 27. საერთაშორისო პარტნიორის შერჩევა

1. საერთაშორისო პარტნიორის შერჩევა ეფუძნება თანამშრომლობის მიზანშეწონილობის, პარტნიორის შესაბამისობის, მოსალოდნელი შედეგებისა და შესაძლო რისკების წინასწარ შეფასებას.
2. პარტნიორის შეფასებისას, დაგეგმილი თანამშრომლობის ხასიათისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება:
   ა) პარტნიორის სამართლებრივი სტატუსი და შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;
   ბ) მისი აკადემიური, კვლევითი ან პროფესიული პროფილი;
   გ) საქმიანობის ხარისხი, გამოცდილება და რეპუტაცია;
   დ) პარტნიორის საქმიანობის შესაბამისობა უნივერსიტეტის მიზნებსა და თანამშრომლობის დაგეგმილ სფეროსთან;
   ე) თანამშრომლობისათვის საჭირო ადამიანური, მატერიალური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული შესაძლებლობები;
   ვ) მხარეთა ინტერესები, მოსალოდნელი წვლილი და სარგებელი;
   ზ) თანამშრომლობის მდგრადობისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა;
   თ) პარტნიორის საქმიანობის შესაბამისობა აკადემიური თავისუფლების, ადამიანის უფლებების, თანასწორობის, კეთილსინდისიერებისა და პასუხისმგებლიანი თანამშრომლობის პრინციპებთან;
   ი) თანამშრომლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი, ეთიკური, ფინანსური, უსაფრთხოების, რეპუტაციული და სხვა შესაძლო რისკები;
   კ) პარტნიორთან თანამშრომლობის წინარე გამოცდილება, თუ ასეთი არსებობს.
3. პარტნიორის შეფასების მოცულობა და ფორმა განისაზღვრება დაგეგმილი თანამშრომლობის შინაარსის, მასშტაბის, ხანგრძლივობის, ფინანსური მნიშვნელობისა და შესაძლო რისკების ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით.
4. პარტნიორის შერჩევა არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ მის საერთაშორისო ცნობადობას ან საერთაშორისო რეიტინგში დაკავებულ პოზიციას. შეფასებისას უპირატესობა ენიჭება პარტნიორისა და დაგეგმილი თანამშრომლობის შინაარსობრივ შესაბამისობას უნივერსიტეტის მიზნებთან და მოსალოდნელ შედეგებს.

5. პარტნიორის წინასწარი შეფასების შედეგები დოკუმენტირდება და გამოიყენება თანამშრომლობის დაწყების, მისი ფორმისა და პირობების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 28. საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმება

1. საერთაშორისო თანამშრომლობა, მისი შინაარსისა და ფორმის გათვალისწინებით, ფორმდება ხელშეკრულებით, მემორანდუმით ან სხვა შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით.
2. საერთაშორისო თანამშრომლობის შეთანხმება, საჭიროების შესაბამისად, განსაზღვრავს:
   ა) თანამშრომლობის მიზანსა და საგანს;
   ბ) დაგეგმილ საქმიანობასა და მოსალოდნელ შედეგებს;
   გ) მხარეთა უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს;
   დ) საქმიანობის კოორდინაციისა და კომუნიკაციის მექანიზმებს;
   ე) შეთანხმების მოქმედების ვადას;
   ვ) ფინანსურ, მატერიალურ და სხვა რესურსებთან დაკავშირებულ პირობებს;
   ზ) ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შედეგების შეფასების მექანიზმებს;
   თ) პერსონალური და კვლევითი მონაცემების, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პირობებს;
   ი) შეთანხმებაში ცვლილების შეტანის, დავის გადაწყვეტის, შეთანხმების შეჩერებისა და შეწყვეტის პირობებს;
   კ) თანამშრომლობის თავისებურებიდან გამომდინარე სხვა საკითხებს.
3. საერთაშორისო შეთანხმების გაფორმებამდე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აფასებენ შეთანხმებისა და დაგეგმილი თანამშრომლობის აკადემიურ, სამართლებრივ, ფინანსურ, ორგანიზაციულ და სხვა შესაბამის ასპექტებს.
4. ზოგადი თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება თავისთავად არ წარმოშობს კონკრეტული საქმიანობის განხორციელების ან ფინანსური ვალდებულების შესრულების მოვალეობას, თუ ასეთი ვალდებულება მემორანდუმით პირდაპირ არ არის განსაზღვრული.
5. თუ კონკრეტული საგანმანათლებლო, კვლევითი, ფინანსური ან სხვა საქმიანობის პირობები ზოგადი თანამშრომლობის მემორანდუმით სრულად არ არის მოწესრიგებული, ისინი განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

მუხლი 29. საერთაშორისო პარტნიორობებისა და შეთანხმებების კოორდინაცია და აღრიცხვა

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო პარტნიორობებისა და შეთანხმებების კოორდინირებულ მართვას და მათ შესახებ ერთიანი და განახლებული ინფორმაციის წარმოებას.
2. საერთაშორისო პარტნიორობისა და შეთანხმების შესახებ აღრიცხული ინფორმაცია, შესაბამისი საქმიანობის ხასიათის გათვალისწინებით, მოიცავს:

ა) პარტნიორის მონაცემებს;
ბ) თანამშრომლობის მიზანსა და ძირითად მიმართულებებს;
გ) გაფორმებულ შეთანხმებასა და მისი მოქმედების ვადას;
დ) თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ და დაგეგმილ საქმიანობას;
ე) მონაწილე სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს;
ვ) მიღებულ შედეგებსა და მათი შეფასების შესახებ ინფორმაციას;
ზ) თანამშრომლობის გაგრძელების, განვითარების, განახლების, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას.

3. საერთაშორისო შეთანხმების ინიციატორი და შესაბამისი საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული თანამშრომლობს საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულთან და მას დროულად აწვდის პარტნიორობის კოორდინაციის, აღრიცხვის, მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტებს.
4. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული აკონტროლებს შეთანხმებების მოქმედების ვადებს და, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, ხელს უწყობს მათი განახლების ან მოქმედების დასრულების საკითხის დროულ განხილვას.
5. პარტნიორობებისა და შეთანხმებების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნები.

მუხლი 30. საერთაშორისო ქსელებში, ასოციაციებსა და კონსორციუმებში მონაწილეობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო საუნივერსიტეტო, აკადემიურ, კვლევით და პროფესიულ ქსელებში, ასოციაციებსა და კონსორციუმებში გაწევრიანებასა და აქტიურ მონაწილეობას.
2. საერთაშორისო ქსელში, ასოციაციასა ან კონსორციუმში გაწევრიანების ან მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფასდება:
ა) მისი მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან, სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და წინამდებარე პოლიტიკის მიზნებთან;
ბ) მონაწილეობის მოსალოდნელი საგანმანათლებლო, კვლევითი, პროფესიული და ინსტიტუციური სარგებელი;
გ) უნივერსიტეტისა და საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა;
დ) წევრობასთან დაკავშირებული ფინანსური, ორგანიზაციული და სხვა ვალდებულებები;
ე) შესაბამისი გაერთიანების საქმიანობის ხარისხი, გამოცდილება, რეპუტაცია და მდგრადობა;
ვ) მონაწილეობასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები.
3. საერთაშორისო ქსელში, ასოციაციასა ან კონსორციუმში გაწევრიანებისას ან მონაწილეობის დაწყებისას უნივერსიტეტი, საჭიროების შესაბამისად, განსაზღვრავს:
ა) წარმომადგენლობასა და მონაწილეობის ფორმას;

ბ) შესაბამის საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირს ან სტრუქტურულ ერთეულს;
გ) უნივერსიტეტის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს;
დ) მონაწილეობის მოსალოდნელ შედეგებსა და მათი შეფასების ფორმებს.

4. საერთაშორისო ქსელში, ასოციაციასა ან კონსორციუმში მონაწილეობა უნდა ემსახურებოდეს თანამშრომლობის ქმედითი შესაძლებლობების შექმნას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ერთობლივი ინიციატივების განვითარებასა და უნივერსიტეტის საერთაშორისო ინტეგრაციას.
5. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს საერთაშორისო ქსელებში, ასოციაციებსა და კონსორციუმებში მონაწილეობის აქტიურობას, მიღებულ შედეგებსა და წევრობის გაგრძელების მიზანშეწონილობას.
6. არააქტიური წევრობის გაგრძელება ან განახლება უნდა ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის შემდგომი აქტიური მონაწილეობის საჭიროებისა და რეალური შესაძლებლობის შეფასებას.

მუხლი 31. საერთაშორისო პარტნიორობის მონიტორინგი, შეფასება და განახლება

1. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს საერთაშორისო პარტნიორობის აქტიურობას, ხარისხს, შედეგიანობას, გავლენასა და მდგრადობას.
2. პარტნიორობის შეფასებისას, მისი მიზნებისა და ფორმის გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება:
   ა) შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება;
   ბ) მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
   გ) სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა და მიღებული შედეგები;
   დ) ერთობლივი საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა საქმიანობის ხარისხი;
   ე) თანამშრომლობის შედეგად მიღებული საგანმანათლებლო, კვლევითი, პროფესიული, ინსტიტუციური და საზოგადოებრივი შედეგები;
   ვ) მონაწილეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი;
   ზ) თანამშრომლობის გაგრძელებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა;
   თ) გამოვლენილ პრობლემებსა და რისკებზე მხარეთა რეაგირება.
3. საერთაშორისო პარტნიორობის შეფასება არ ეფუძნება მხოლოდ პარტნიორების, გაფორმებული შეთანხმებებისა და განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობას. შეფასებისას მხედველობაში მიიღება თანამშრომლობის ხარისხი, მიღებული შედეგები, გავლენა და მდგრადობა.
4. შეფასების შედეგები დოკუმენტირდება და გამოიყენება პარტნიორობის არსებული ფორმით გაგრძელების, გაფართოების, განახლების, პირობების შეცვლის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
5. არააქტიური შეთანხმების განახლება უნდა ეფუძნებოდეს თანამშრომლობის საჭიროების, მოსალოდნელი შედეგებისა და მისი რეალურად განხორციელების შესაძლებლობის შეფასებას.

მუხლი 32. საერთაშორისო პარტნიორობის შეჩერება და შეწყვეტა

1. საერთაშორისო პარტნიორობა შეიძლება შეჩერდეს ან შეწყდეს:
   ა) შეთანხმების მოქმედების ვადის გასვლის ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
   ბ) თანამშრომლობის მიზნის დაკარგვის ან საქმიანობის არაეფექტიანობის შემთხვევაში;
   გ) მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არსებითად შეუსრულებლობისას;
   დ) საქმიანობის ხარისხთან დაკავშირებული არსებითი პრობლემის გამოვლენისას;
   ე) უნივერსიტეტის მისიასთან, ღირებულებებთან ან სტრატეგიულ პრიორიტეტებთან თანამშრომლობის შეუსაბამობისას;
   ვ) არსებითი სამართლებრივი, ეთიკური, ფინანსური, უსაფრთხოების ან რეპუტაციული რისკის წარმოშობისას, რომლის სათანადოდ მართვა შეუძლებელია;
   ზ) ადამიანის უფლებების, აკადემიური თავისუფლების, კეთილსინდისიერების ან უნივერსიტეტის ინსტიტუციური ავტონომიის არსებითი ხელყოფისას;
   თ) სხვა გარემოების არსებობისას, რომელიც თანამშრომლობის გაგრძელებას შეუძლებელს ან მიზანშეუწონელს ხდის.
2. პარტნიორობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების, პერსონალისა და სხვა მონაწილეთა კანონიერ ინტერესებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, უზრუნველყოფს:
   ა) მიმდინარე საქმიანობის მოწესრიგებულ დასრულებას;
   ბ) სტუდენტების მიერ მიღწეული სწავლის შედეგებისა და მოპოვებული კრედიტების დაცვასა და აღიარებას;
   გ) მონაწილეთა დროულ ინფორმირებას;
   დ) ხელშეკრულებით ნაკისრი და შეწყვეტის შემდეგ შესასრულებელი ვალდებულებების მოწესრიგებას.
3. პარტნიორობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიღებული შესაბამისი შეთანხმებითა და უნივერსიტეტის რეგულაციებით განსაზღვრული წესით.
4. პარტნიორობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია აისახება საერთაშორისო პარტნიორობებისა და შეთანხმებების ერთიან აღრიცხვაში.

თავი VII. ინტერნაციონალიზაციის მართვა და პასუხისმგებლობები

მუხლი 33. ინტერნაციონალიზაციის მართვა

1. ინტერნაციონალიზაციის მართვა ეფუძნება ინსტიტუციურ კოორდინაციას, პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას, საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობას, რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და შედეგებზე ორიენტირებას.
2. ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს უნივერსიტეტის საერთო ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას. მის განხორციელებაში, თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში, მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და ხელმძღვანელი პირები, ფაკულტეტები და სხვა სტრუქტურული ერთეულები, აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და სტუდენტები.

3. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით საქმიანობა კოორდინირებული უნდა იყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევით, ხარისხის უზრუნველყოფის, ადამიანური რესურსების განვითარებისა და სხვა შესაბამის საქმიანობასთან.
4. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს შესაბამის მონაცემებს, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს, საუნივერსიტეტო საზოგადოების უკუკავშირსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში მიმდინარე ცვლილებებს.
5. უნივერსიტეტის მართვის ორგანოები და ხელმძღვანელი პირები, თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში:

   ა) განსაზღვრავენ ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციურ პრიორიტეტებს და უზრუნველყოფენ მათ შესაბამისობას უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებთან;

   ბ) იღებენ გადაწყვეტილებებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და შესაბამისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური, ფინანსური, მატერიალური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო რესურსების დაგეგმვისა და გამოყოფის შესახებ;

   გ) იღებენ გადაწყვეტილებებს სტრატეგიული მნიშვნელობის საერთაშორისო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ;

   დ) უზრუნველყოფენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციას;

   ე) განიხილავენ ინტერნაციონალიზაციის განხორციელებისა და შედეგების შესახებ ანგარიშებს;

   ვ) მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებებს შესაბამისი პროცესების გაუმჯობესების შესახებ.

მუხლი 34. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული

1. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული კოორდინაციას უწევს წინამდებარე პოლიტიკის განხორციელებას.
2. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ფუნქციებია:

   ა) ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და შესაბამისი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განახლების პროცესის კოორდინაცია;

   ბ) საერთაშორისო პარტნიორების მოძიების, წინასწარი შეფასებისა და პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;

   გ) საერთაშორისო შეთანხმებების მომზადების, შეთანხმებისა და გაფორმების პროცესის კოორდინაცია;

   დ) საერთაშორისო პარტნიორობებისა და შეთანხმებების შესახებ ერთიანი და განახლებული ინფორმაციის წარმოება;

   ე) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის კოორდინაცია;

   ვ) შემომავალი მობილობის მონაწილეთა მიღებისა და მხარდაჭერის კოორდინაცია;

   ზ) უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში, მათი მოზიდვის, მიღების, მხარდაჭერისა და ინტეგრაციის პროცესში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

თ) უცხოელი აკადემიური პერსონალის, მეცნიერებისა და მოწვეული სპეციალისტების მოწვევის, მხარდაჭერისა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულობის პროცესში შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

ი) საერთაშორისო პროგრამების, პროექტების, ქსელებისა და თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შესაბამისი საკონსულტაციო მხარდაჭერის გაწევა;

კ) საერთაშორისო საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვების, დამუშავების, მონიტორინგისა და ანგარიშგების კოორდინაცია;

ლ) უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობისა და მიღწევების წარმოჩენის ხელშეწყობა;

მ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა შესაბამისი საქმიანობის განხორციელება.

3. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული თავის საქმიანობას ახორციელებს ფაკულტეტებსა და უნივერსიტეტის სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.
4. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის საკოორდინაციო ფუნქცია არ ცვლის და არ ზღუდავს სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს.

მუხლი 35. ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა

1. ფაკულტეტები და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში, ხელს უწყობენ შესაბამის საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირებას.
2. ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, მოიცავს:

ა) საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო, ინტერკულტურული და გლობალური განზომილებების ინტეგრირებას;

ბ) უცხოელი აკადემიური პერსონალის, მეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობას;

გ) საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევითი პარტნიორობის ინიციირებასა და განხორციელებაში მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ და სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით;

დ) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობის აკადემიურ მხარდაჭერას;

ე) სტუდენტის მობილობის ფარგლებში გასავლელი სასწავლო კომპონენტების, მისაღწევი სწავლის შედეგებისა და მოსაპოვებელი კრედიტების წინასწარ შეთანხმებაში მონაწილეობას;

ვ) მობილობის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარების პროცესში მონაწილეობას;

ზ) შემომავალი მობილობის სტუდენტებისა და პერსონალის აკადემიური მხარდაჭერისა და საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობას;

თ) საერთაშორისო პროექტების, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვა შესაბამისი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობას;

ი) შესაბამისი საერთაშორისო საქმიანობის შედეგების შეფასებასა და საჭირო ინფორმაციის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულისათვის მიწოდებას.

3. ფაკულტეტები ხელს უწყობენ საერთაშორისო საქმიანობაში სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას და მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა შესაბამის საქმიანობაში გამოყენებას.

მუხლი 36. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების პასუხისმგებლობა

1. კვლევაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

   ა) ხელს უწყობს საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარებას;

   ბ) ავრცელებს ინფორმაციას საერთაშორისო კვლევითი პროექტებისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ;

   გ) აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და დოქტორანტებს უწევს მხარდაჭერას საერთაშორისო კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისას;

   დ) ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კვლევით მობილობას;

   ე) ხელს უწყობს კვლევის შედეგების საერთაშორისო გავრცელებასა და გამოყენებას;

   ვ) აგროვებს და აანალიზებს კვლევის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს და მონაწილეობს მისი შედეგებისა და რისკების შეფასებაში.

2. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

   ა) მონაწილეობს ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

   ბ) შეისწავლის სტუდენტების, პერსონალის, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს;

   გ) მონაწილეობს საერთაშორისო საქმიანობის შედეგებისა და მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებაში;

   დ) ხელს უწყობს შეფასების შედეგების უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში ინტეგრირებასა და შესაბამისი პროცესების გაუმჯობესებას.

3. უნივერსიტეტის სხვა ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში:

   ა) უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში ახორციელებენ მათ მიღებასთან, ჩარიცხვასთან, რეგისტრაციასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებულ შესაბამის საქმიანობას;

   ბ) ხელს უწყობენ უცხოელი აკადემიური პერსონალის, მეცნიერებისა და მოწვეული სპეციალისტების მიღებასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

   გ) უზრუნველყოფენ საერთაშორისო საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის სამართლებრივ, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას;

დ) ხელს უწყობენ პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო მობილობას;

ე) უზრუნველყოფენ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, ციფრულ, სტუდენტურ, კარიერულ, საკონსულტაციო და სხვა შესაბამის სერვისებზე წვდომას;

ვ) ხელს უწყობენ უნივერსიტეტის საერთაშორისო საქმიანობის კომუნიკაციასა და წარმოჩენას;

ზ) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ პერსონალური მონაცემების დაცვას, ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და რისკების მართვას;

თ) აგროვებენ და საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს აწვდიან შესაბამისი საქმიანობის შესახებ მონაცემებს.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები საერთაშორისო საქმიანობის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისას თანამშრომლობენ საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელ და სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 37. საუნივერსიტეტო საზოგადოების მონაწილეობა

1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობას ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტების, საქმიანობისა და მხარდამჭერი მექანიზმების შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში.
2. სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა შეიძლება განხორციელდეს:

   ა) გამოკითხვების, კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების მეშვეობით;

   ბ) შესაბამის კომიტეტებში, სამუშაო ჯგუფებსა და პროექტებში მონაწილეობით;

   გ) საერთაშორისო შესაძლებლობებისა და გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაზიარებით;

   დ) საერთაშორისო მობილობისა და სხვა საერთაშორისო საქმიანობის ფარგლებში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით;

   ე) შემომავალი მობილობის მონაწილეთა და უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართული უცხოელი პირების მხარდაჭერისა და ინტეგრაციის ღონისძიებებში მონაწილეობით;

   ვ) უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში, მათი მენტორობისა და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობით;

   ზ) საერთაშორისო და ინტერკულტურული საუნივერსიტეტო საქმიანობის ინიციირებითა და განხორციელებით;

   თ) სხვა შესაბამისი ფორმით.
3. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მიერ ინიციირებული საერთაშორისო საქმიანობის განვითარებას, თუ იგი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, წინამდებარე პოლიტიკის მიზნებსა და უნივერსიტეტის შესაბამის მოთხოვნებს.
4. უნივერსიტეტი სტუდენტებისა და პერსონალის მოსაზრებებსა და უკუკავშირს ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის შესაბამისი პროცესებისა და მხარდამჭერი მექანიზმების გაუმჯობესებისას.

მუხლი 38. რესურსები და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება

1. ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტებისა და საქმიანობის დაგეგმვისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს მათ განსახორციელებლად საჭირო ადამიანურ, ფინანსურ, მატერიალურ, ტექნოლოგიურ და საინფორმაციო რესურსებს.
2. უნივერსიტეტი, არსებული შესაძლებლობებისა და გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით, ხელს უწყობს:
   ა) საერთაშორისო საქმიანობაში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებას;
   ბ) სტუდენტებისა და პერსონალის უცხოური ენობრივი და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარებას;
   გ) საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარების გაძლიერებას;
   დ) შემომავალი მობილობის მონაწილეებსა და უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულ უცხოელ პირებთან მუშაობისათვის საჭირო სერვისებისა და კომპეტენციების განვითარებას;
   ე) უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში, მათი მიღების, მხარდაჭერისა და ინტეგრაციისათვის საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას;
   ვ) საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო ციფრული და საინფორმაციო სისტემების განვითარებას;
   ზ) საერთაშორისო საქმიანობის აკადემიური, ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერის გაუმჯობესებას.
3. საერთაშორისო საქმიანობა იგეგმება უნივერსიტეტის შესაძლებლობების, მოსალოდნელი შედეგების, საჭირო რესურსებისა და ფინანსური და ინსტიტუციური მდგრადობის გათვალისწინებით.
4. უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ინსტიტუციურ შესაძლებლობებს და შეფასების შედეგებს იყენებს რესურსების დაგეგმვისა და შესაბამისი სერვისებისა და კომპეტენციების გასაუმჯობესებლად.

მუხლი 39. საერთაშორისო საქმიანობის კომუნიკაცია და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობა

1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო შესაძლებლობების, საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის დროულ, ზუსტ და მიზნობრივ გავრცელებას.
2. ინფორმაცია, საჭიროების შესაბამისად, ხელმისაწვდომია ქართულ და უცხოურ ენებზე და ითვალისწინებს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების საინფორმაციო საჭიროებებს.
3. საერთაშორისო საქმიანობის კომუნიკაცია ეფუძნება სიზუსტის, გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობისა და პასუხისმგებლიანობის პრინციპებს.
4. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება ემსახურება მისი საგანმანათლებლო, კვლევითი და საზოგადოებრივი საქმიანობის საერთაშორისო სივრცეში წარმოჩენას, საერთაშორისო პარტნიორობის შესაძლებლობების განვითარებასა და უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნის გავრცელებას.

5. საერთაშორისო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალური ინფორმაციისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მოთხოვნები და პარტნიორებთან შეთანხმებული პირობები.
6. უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებისა და საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობისკენ მიმართული საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს სანდო მონაცემებსა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი, საერთაშორისო და ინსტიტუციური საქმიანობის დადასტურებულ შედეგებს.

თავი VIII. ხარისხის უზრუნველყოფა, მონიტორინგი და შეფასება

მუხლი 40. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა

1. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ნაწილია და მოიცავს საერთაშორისო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებას, მონიტორინგს, შეფასებასა და გაუმჯობესებას.
2. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა ემსახურება:
   ა) საერთაშორისო საქმიანობის უნივერსიტეტის მისიასთან, ხედვასთან, ღირებულებებსა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის შეფასებას;
   ბ) სწავლა-სწავლების, კვლევის, მობილობის, საერთაშორისო პარტნიორობისა და შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების ხარისხისა და შედეგიანობის გაუმჯობესებას;
   გ) სტუდენტების, პერსონალის, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების, გამოცდილებისა და უკუკავშირის გათვალისწინებას;
   დ) საერთაშორისო საქმიანობის შედეგების, გავლენისა და მდგრადობის შეფასებას;
   ე) გამოვლენილ ხარვეზებსა და გამოწვევებზე დროულ რეაგირებას;
   ვ) შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილებისა და აღიარებული პრაქტიკის გათვალისწინებას.
3. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება შესაბამისი საქმიანობის მიზნების, ხასიათის, მასშტაბისა და შესაძლო რისკების გათვალისწინებით.
4. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები გამოიყენება საერთაშორისო საქმიანობისა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების უწყვეტი გაუმჯობესებისათვის.

მუხლი 41. ინტერნაციონალიზაციის მონიტორინგი და შეფასება

5. უნივერსიტეტი სისტემატურად ახორციელებს წინამდებარე პოლიტიკისა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.
6. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი და სხვა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობით.
7. მონიტორინგისა და შეფასების ძირითადი მიმართულებებია:

ა) სწავლა-სწავლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;
ბ) „ინტერნაციონალიზაცია სახლში“ და სტუდენტების საერთაშორისო და ინტერკულტურული გამოცდილება;
გ) სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობა და მისი შედეგები;
დ) მობილობის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და კრედიტების აღიარება;
ე) უცხოელი სტუდენტების მიღების შემთხვევაში – მათი მოზიდვა, მიღება, მხარდაჭერა და ინტეგრაცია;
ვ) უცხოელი აკადემიური პერსონალის, მეცნიერებისა და მოწვეული სპეციალისტების ჩართულობა და გამოცდილება;
ზ) კვლევის ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა;
თ) საერთაშორისო პარტნიორობებისა და საერთაშორისო ქსელებში მონაწილეობის აქტიურობა, ხარისხი და შედეგები;
ი) საერთაშორისო პროექტებსა და დაფინანსების პროგრამებში მონაწილეობა;
კ) საერთაშორისო შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა;
ლ) საერთაშორისო საქმიანობისათვის საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობები და რესურსები;
მ) უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობა და აკადემიური რეპუტაცია;
ნ) წინამდებარე პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე სხვა მიმართულებები.

8. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები, შესაბამისი ინდიკატორები, მონაწილეთა და დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი, სტრუქტურული ერთეულების ანგარიშები და სხვა სანდო ინფორმაცია.
9. ინტერნაციონალიზაციის შეფასება არ ეფუძნება მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორების, შეთანხმებების, მობილობის მონაწილეების, პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობას. შეფასებისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი საქმიანობის ხარისხი, მიღებული შედეგები, გავლენა და მდგრადობა.
10. მონიტორინგის პერიოდულობა, მონაცემთა წყაროები, შეფასების მეთოდები, ინდიკატორები, მათი საწყისი და სამიზნე მაჩვენებლები და მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები განისაზღვრება უნივერსიტეტის შესაბამისი სტრატეგიული ან სამოქმედო გეგმით.
11. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გამოყენებული მონაცემების სიზუსტე, სანდოობა, შედარებადობა და კონფიდენციალურობა და დაცული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნები.

მუხლი 42. ანგარიშგება და შეფასების შედეგების გამოყენება

1. საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით პერიოდულად ამზადებს ინტერნაციონალიზაციის განხორციელებისა და შედეგების შესახებ ანგარიშს.
2. ანგარიში, საჭიროების შესაბამისად, მოიცავს:
ა) საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ძირითად საქმიანობას;
ბ) შესაბამისი მიზნების, ამოცანებისა და ინდიკატორების შესრულების მდგომარეობას;
გ) მიღწეულ შედეგებსა და გამოვლენილ ეფექტიან პრაქტიკას;

დ) სტუდენტების, პერსონალის, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის ძირითად შედეგებს;

ე) გამოვლენილ პრობლემებს, რისკებსა და გაუმჯობესების საჭიროებებს;

ვ) შესაბამის რეკომენდაციებსა და დაგეგმილ გაუმჯობესების ღონისძიებებს.

3. ანგარიში განიხილება უნივერსიტეტის შესაბამისი მართვის ორგანოს ან უფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების შესახებ.
4. მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტი:

   ა) განსაზღვრავს გაუმჯობესების საჭირო მიმართულებებს;

   ბ) შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს;

   გ) საჭიროების შემთხვევაში ცვლის ინტერნაციონალიზაციის პრიორიტეტებს, პროცესებსა და მხარდამჭერ მექანიზმებს;

   დ) შეფასების შედეგებს ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განახლებისას;

   ე) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა და დაინტერესებულ მხარეებს აცნობს შეფასების ძირითად შედეგებსა და დაგეგმილ ცვლილებებს.
5. გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების შესრულებას და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს აწვდიან ინფორმაციას მათი განხორციელებისა და მიღებული შედეგების შესახებ.
6. ანგარიშისა და შეფასების შედეგების გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს პერსონალური მონაცემები, კონფიდენციალური ინფორმაცია, ინტელექტუალური საკუთრება და პარტნიორებთან შეთანხმებული შეზღუდვები.

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 43. პოლიტიკის განხორციელება და კავშირი სტრატეგიულ დაგეგმვასთან

1. წინამდებარე პოლიტიკა განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის გრძელვადიან ინსტიტუციურ ჩარჩოს, მიზნებსა და ძირითად პრინციპებს და წარმოადგენს ამ მიმართულებით სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის საფუძველს.
2. უნივერსიტეტის შესაბამისი სტრატეგიული გეგმით განისაზღვრება ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შედეგების შეფასების ინდიკატორები და შესაბამისი პრიორიტეტები.
3. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმით განისაზღვრება კონკრეტული ღონისძიებები, ინდიკატორების საწყისი და სამიზნე მაჩვენებლები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და საჭირო რესურსები.
4. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე პოლიტიკას და უზრუნველყოფდეს მისი მიზნების თანმიმდევრულ განხორციელებას.

5. სტრატეგიული ან სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის გასვლა ან მასში ცვლილების შეტანა თავისთავად არ იწვევს წინამდებარე პოლიტიკის მოქმედების შეწყვეტას.

მუხლი 44. პოლიტიკის შეფასება და გადახედვა

1. უნივერსიტეტი არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ აფასებს წინამდებარე პოლიტიკის განხორციელებას, აქტუალობასა და ეფექტიანობას და, შეფასების შედეგების საფუძველზე, განსაზღვრავს მისი გადახედვის ან განახლების საჭიროებას.
2. პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს და გადაიხედოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაზე ადრე:
   ა) უნივერსიტეტის მისიის, ხედვის ან სტრატეგიული პრიორიტეტების არსებითი ცვლილებისას;
   ბ) საქართველოს კანონმდებლობის ან უმაღლესი განათლების სფეროში მოქმედი მოთხოვნების ცვლილებისას;
   გ) საერთაშორისო საგანმანათლებლო ან კვლევით გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებისას;
   დ) მონიტორინგისა და შეფასების შედეგად პოლიტიკის ცვლილების არსებითი საჭიროების გამოვლენისას;
   ე) უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ან საერთაშორისო საქმიანობის მასშტაბის მნიშვნელოვანი ცვლილებისას;
   ვ) სხვა გარემოების არსებობისას, რომელიც პოლიტიკის განახლებას საჭიროებს.
3. პოლიტიკის შეფასებისა და გადახედვის პროცესს კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ და სხვა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.
4. პოლიტიკის შეფასებისა და გადახედვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტების, პერსონალის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, საერთაშორისო პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებები.
5. პოლიტიკაში ცვლილებები და დამატებები შეიტანება მისი დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.

მუხლი 45. პოლიტიკის დამტკიცება, ძალაში შესვლა და ხელმისაწვდომობა

1. წინამდებარე პოლიტიკას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.
2. პოლიტიკა ძალაში შედის მისი დამტკიცებისთანავე.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პოლიტიკის გამოქვეყნებას ოფიციალურ ვებგვერდზე ან სხვა შესაბამის საინფორმაციო სივრცეში, მის ხელმისაწვდომობასა და შინაარსის საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის გაცნობას.
4. პოლიტიკაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი განახლებული რედაქციის დროულ გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობას.